სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080164963030223

№ 1508 16 / მაისი / 2023 წ.

შპს „მკს“-ს შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“;

ტენდერის ნომერი: NAT230003332;

შესყიდვის ობიექტი: 38200000 – გეოლოგიური და გეოფიზიკური ხელსაწყოები;

პრეტენდენტი: შპს „მკს“ (ს/ნ: 206256727);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 7 და 19 აპრილს წარმოდგენილ იქნა ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ 2023 წლის 7 აპრილის №70-01230972520 წერილობითი შეტყობინება და 2023 წლის 19 აპრილის № 70-01231092904 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 3112 და № 3397), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა NAT230003332 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის - შპს „მკს“-ს (ს/ნ: 206256727) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ პრეტენდენტს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის misha.mksoffice@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 24 აპრილის № 1420 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. პრეტენდენტმა სააგენტოში 2023 წლის 27 აპრილს წარმოადგინა 2023 წლის 27 აპრილის განმარტება (რეგისტრაციის №3586) NAT230003332 ელექტრონული ტენდერიდან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, პრეტენდენტმა NAT230003332 ელექტრონულ ტენდერში დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, 2023 წლის 14 მარტს წარადგინა მწარმოებლის – კომპანია WEBER Prueftechnik-ის 2023 წლის 13 მარტის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა, რომელიც ხელმოწერილი იყო ტ.ვ.-ს მიერ.

2.2. კომპანია WEBER Prueftechnik-ის წარმომადგენლის ტ.ვ.-ს 2023 წლის 6 აპრილის ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ 2023 წლის 13 მარტის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმაზე არსებული ხელმოწერა არ იყო შესრულებული მის მიერ.

2.3. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2023 წლის 7 აპრილის №6 სხდომის ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის

14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „მკს“-ს (ს/ნ: 206256727) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას NAT230003332 ელექტრონული ტენდერიდან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მან მიმართა მწარმოებელ კომპანიას – WEBER Prueftechnik-ს, რაზეც მიიღო განმარტება, რომ საქართველოში მას ჰყავდა ოფიციალური წარმომადგენელი და აღნიშნული წარმომადგენელი დაუკავშირდებოდა. აღნიშნულის შემდეგ პრეტენდენტს დაუკავშირდა ვინმე შ.მ., რომელმაც განუმარტა, რომ წარმოადგენდა WEBER Prueftechnik-ის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოში და შეეძლო მიეწოდებინა სატენდერო პირობების შესაბამისად ავტორიზაციის წერილი. პრეტენდენტი მიუთითებს, რომ შ.მ.-ს მიერ ელ-ფოსტის საშუალებით მიიღო ავტორიზაციის წერილი, რომელიც წარმოდგენილი იყო WEBER Prueftechnik-ის ბლანკზე და ხელმოწერილი იყო ოფიციალური წარმომადგენლის მიერ (განმარტებას დანართის სახით ერთვის შ.მ.-სთან განხორციელებული მიმოწერა). შესაბამისად, პრეტენდენტი განმარტავს, რომ მის მიერ მტკიცებულება მოპოვებულია კეთილსინდისიერად და არ ემსახურებოდა რაიმე სხვა მიზანს. ასევე აღნიშნავს, შემსყიდველ ორგანიზაციას კანონით დადგენილი წესით არ უმსჯელია თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღო მისი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში და ითხოვს არ განხორციელდეს მისი შავ სიაში რეგისტრაცია დავების განხილვის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 15 თებერვალს ააიპ „თბილისის მუნიციპალურმა ლაბორატორიამ“ გამოაცხადა NAT230003332 ელექტრონული ტენდერი გეოლოგიური და გეოფიზიკური ხელსაწყოების (CPV38200000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT230003332 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო შპს „მკს“-მ (ს/ნ: 206256727).

4.3. სატენდერო დოკუმენტაციის 2.9.3. პუნქტის თანახმად, პრეტენდენტს უნდა წარედგინა შესყიდვის ობიექტების მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა შეთავაზებული შესყიდვის ობიექტების მწარმოებელი ქვეყნის, კომპანიის, მოდელის/მარკის და დეტალური ქარხნული ტექნიკურ-მატერიალური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას.

4.4. პრეტენდენტმა NAT230003332 ელექტრონულ ტენდერში დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, 2023 წლის 14 მარტს წარადგინა მწარმოებლის – კომპანია WEBER Prueftechnik-ის 2023 წლის 13 მარტის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შპს „მკს“ (ს/ნ: 206256727) უფლებამოსილი იყო საქართველოში შემოეტანა და გაეყიდა მის მიერ წარმოებული პროდუქტი. აღნიშნული წერილი ხელმოწერილი იყო ტ.ვ.-ს მიერ.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის 2023 წლის 17 მარტის №5 სხდომის ოქმით შპს „მკს“ (ს/ნ: 206256727) გამოვლინდა გამარჯვებულად.

4.6. სატენდერო კომისიის 2023 წლის 17 მარტის № 5 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „პროფიმპექსმა“ (ს/ნ: 202463592) 2023 წლის 20 მარტს გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის DIS230003332_01(NAT)).

4.7. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2023 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით (საჩივრის DIS230003332_01(NAT)) ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ სატენდერო კომისიას დაევალა 2023 წლის 17 მარტის № 5 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა და შპს „მკს“-ს ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება.

4.8. კომპანია WEBER Prueftechnik-ის წარმომადგენლის ტ.ვ.-ს 2023 წლის 6 აპრილის ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ 2023 წლის 13 მარტის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმაზე არსებული ხელმოწერა არ იყო შესრულებული მის მიერ.

4.9. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2023 წლის 7 აპრილის №6 სხდომის ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „მკს“-ს (ს/ნ: 206256727) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.10. სატენდერო კომისიის 2023 წლის 7 აპრილის № 6 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „მკს“-მ (ს/ნ: 206256727) 2023 წლის 17 აპრილს გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის DIS230003332_02(NAT)).

4.11. დავების განხილვის საბჭოს 2023 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით შპს „მკს“-ს (ს/ნ: 206256727) საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მკს“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.5. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კომპანია WEBER Prueftechnik-ის წარმომადგენლის ტ.ვ.-ს 2023 წლის 6 აპრილის ელექტრონული ფოსტის შეტყობინებაზე, რომლითაც შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ 2023 წლის 13 მარტის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმაზე არსებული ხელმოწერა არ იყო შესრულებული მის მიერ. რაც შეეხება პრეტენდენტის განმარტებას, რომ მის მიერ აღნიშნული დოკუმენტი მოპოვებულია კეთილსინდისიერად, სააგენტო აღნიშნავს, რომ პრეტენდენტი ვალდებული იყო ელექტრონულ ტენდერში დოკუმენტის წარდგენამდე გადაემოწმებინა მისი ავთენტურობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა აფიდავიტის პირობების დარღვევა და NAT230003332 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენილ იქნა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რის გამოც არსებობს შპს „მკს“-ს შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „მკს“-მ (ს/ნ: 206256727) NAT230003332 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „მკს“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „მკს“ (ს/ნ: 206256727) 2023 წლის 17 მაისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე